

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსი ტარდება ეტაპობრივად:

1. 2017 წლის 15 მაისს გამოცხადდა კონკურსი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შემდეგ თანამდებობებზე:

- დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე- 3 საშტატო ერთეული;

2. 2017 წლის 31 მაისს გამოცხადდა კონკურსი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შემდეგ თანამდებობებზე:

- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი-1 საშტატო ერთეული;
- ადმინისტრაციული სამსახურის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (თანაშემწე) -2 საშტატო ერთეული;
- ლოჯისტიკის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი -1 საშტატო ერთეული;
- ტექნიკური სამდივნოს დირექციის ტექნიკური ასისტენტი -1 საშტატო ერთეული;
- ტერიტორიული ორგანო-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამსახურის მთავარი სპეციალისტი--1 საშტატო ერთეული.

3. 2017 წლის 2 ივნისს გამოცხადდა კონკურსი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შემდეგ თანამდებობებზე:

- ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (ადმინისტრირების მიმართულებით) -1 საშტატო ერთეული;
- გარემოს დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი -1 საშტატო ერთეული;

4. 2017 წლის 9 ივნისს გამოცხადდა კონკურსი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სხვადასხვა თანამდებობებზე:

- ლოჯისტიკის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი -1 საშტატო ერთეული;
- ფინანსების მართვის სამსახურის ფინანსური მენეჯმენტისა და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (დონორების სახსრებით დაფინანსების მიმართულებით) - 1 საშტატო ერთეული;

5. 2017 წლის 14 ივნისს გამოცხადდა კონკურსი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სხვადასხვა თანამდებობებზე:

- ადმინისტრაციული სამსახურის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული;
- სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის შესყიდვების ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული.

კონკურსის შედეგების მიხედვით ვაკანტურ დაინიშნენ: დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამ ვაკანტურ თანამდებობაზე - ალექსანდრე თევდორაძე, ლაშა ადეიშვილი, ზაზა სიმონია.

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნათია ლომაურიძე, ადმინისტრაციული სამსახურის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის (თანაშემწე) ორ ვაკანტურ თანამდებობაზე - თამარ ერისთავი და მაკა კვიცია, ლოჯისტიკის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე - გიორგი შავგულიძე, ტექნიკური სამდივნოს დირექციის ტექნიკური ასისტენტის ვაკანტურ თანამდებობაზე - ოთარ შოშიაშვილი, ტერიტორიული ორგანო-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამსახურის მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე - სალომე ქასრაშვილი.

ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის (ადმინისტრირების მიმართულებით) ვაკანტურ თანამდებობაზე - ნინო ბარჯაძე, გარემოს დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე - რუსუდან ელიზბარაშვილი, ლოჯისტიკის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ

თანამდებობაზე - ზურაბ კახნიაშვილი, ფინანსების მართვის სამსახურის ფინანსური მენეჯმენტისა და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე (დონორების სახსრებით დაფინანსების მიმართულებით) - ირაკლი ჯღარკავა.

ადმინისტრაციული სამსახურის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე - ეკატერინე უსუფაშვილი, სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის შესყიდვების ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა.

კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპრეტენზიო კომისიაში, ზემდგომ ორგანოში - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში (ყაზბეგის გამზ. 12), ხოლო შემდგომ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს შემდეგი ნორმატიული აქტები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.

2017 წლის მეორე კვარტალის (აპრილი, მაისი, ივნისი) მდგომარეობით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში (აჭარა, აფხაზეთი, შტატგარეშეები) საშუალოდ დასაქმებული იყო 207 სპეციალისტი აქედან 77 ქალი.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში და მის ტერიტორიულ ორგანოებში (აჭარა, აფხაზეთი) **2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დასაქმებულები (გენდერულ ჭრილში):**

1. დეპარტამენტის თავმჯდომარე – 1;
2. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე -ტექნიკური მდივანი- 1;
3. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე – 4
- 4.სამსახურის უფროსი – 16 მათ შორის 2 ქალი
- 5.სამსახურის უფროსის მოადგილე – 14 მათ შორის – 4 ქალი;
6. მთავარი ბუღალტერი – 1;
7. მთავარი ბუღალტრის მოადგილე – 1 ქალი;
8. სამმართველოს უფროსი – 22 მათ შორის – 9 ქალი;
9. პროექტის მენეჯერი – 18 მათ შორის – 2 ქალი;
10. მთავარი სპეციალისტი – 108 მათ შორის – 54 ქალი;
11. დირექციის დირექტორი – 1
12. დირექციის დირექტორის მოადგილე – 1
13. ტექნიკური ასისტენტი –1
14. შტატგარეშე მოსამსახურე – 19 მათ შორის 5 ქალი